



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი

„დამტკიცებულია“

„დამტკიცებულია“

რექტორი

პროფ. გიორგი ონიანი

დეკანი

პროფ. ზურაბ არქანია

აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №
----- 2010 წელი

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №5
-----2010 წელი

პროფესიული უმაღლესი განათლების
პროგრამა

საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია
და მართვა

1. **პროგრამის დასახელება:** საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა
2. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** დიპლომირებული სპეციალისტი საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაციასა და მართვაში

3. **პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი და სტრუქტურული ერთეული**
საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი,

4. **პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**
მიზანი:

პროგრამის ძირითადი მიზანია საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელთა საქმიანობა უზრუნველყოფს საზღვაო-სატრანსპორტო გადამზიდავი ფირმების სრულფასოვან ფუნქციონირებას. პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამამ უნდა განუვითაროს სტუდენტს ინტერესი და ცოდნა ტვირტების საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის მიმართ; მოამზადოს სპეციალისტი, რომლის მიზანია კონკურენტულ გარემოში სატრანსპორტო გადაზიდვებით დასაქმებულ საწარმოთა მდგრადი განვითარება; სტუდენტი დაეუფლოს გადაზიდვების სამუშაოთა ორგანიზაციის ძირითად პრინციპებსა და წესებს; სრულყოფილად შეასწავლოს დიპლომირებულ სპეციალისტს ტრანსპორტირებისა და ლოგისტიკის საფუძვლები; მოამზადოს სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ სწავლის გაგრძელებას ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები

პროგრამის კურსის გავლის შემდეგ დიპლომირებული სპეციალისტი საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაციასა და მართვაში უნდა ფლობდეს:

- საინჟინრო-ტექნიკური, ეკონომიკური და მენეჯერული მეცნიერების თეორიულ საფუძვლებს;
- მათემატიკური მეთოდების გამოყენებით ტვირტების გადაზიდვის პროცესების ანალიზის შესაძლებლობას;
- პროფესიული ფუნქციების შესასრულებლად სათანადო უნარ-ჩვევებს;
- სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის საფუძვლებს;
- საზღვაო ტრანსპორტის სერვისული მომსახურების და მოძრაობის უსაფრთხოების სამსახურების ორგანიზაციის უნარს;
- საზღვაო-სატრანსპორტო გადამზიდავი ფირმის საქმიანობის სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვის უნარსა და შესაძლებლობებს.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულების დასაქმების სფეროებია:

1. საზღვაო-სატრანსპორტო და გადამზიდავი ფირმები;
2. ექსპედიტორული და ლოგისტიკური ფირმები;
3. საზღვაო სააგენტო ფირმები;
4. ტრანსპორტის სადაზღვევო კომპანიები,
5. საზღვაო ნავსადგურები.

5. პროგრამის მიღების წინაპირობა

აბიტურიენტის განათლების წინამდებარე დონეა სრული საშუალო ან მისი ექვივალენტური განათლება. აბიტურიენტს უნდა გააჩნდეს სრული საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და საქართველოს მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს მას სტუდენტის სტატუსს, ან ექვივალენტური დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სახელმწიფოებს შორის შესაბამისი ხელშეკრულებების არსებობის შემთხვევაში.

6. პროგრამის სტრუქტურა

N	კურსის კოდი	კურსი	სკ	დ./პრ./ს/ლ.აბ.	კრედიტი	სემესტრები					წინაპირობა
						I	II	III	IV	V	
პროგრამის სავალდებულო კურსები (150 კრედიტი)											
1	STP0010	მათემატიკა 1	3	1.2.0.0	5	5					
2	STP0020	მათემატიკა 2	3	1.2.0.0	5		5				
3	STP0030	ფიზიკა	3	2.1.0.0	5	5					
4	STP0040	უცხო ენა 1	3	0.3.0.0	5	5					
5	STP0050	უცხო ენა 2	3	0.3.0.0	5		5				
6	STP0060	საინჟინრო გრაფიკა	3	1.2.0.0	5	5					
7	STP0070	ინფორმაციული ტექნოლოგიები 1	3	1.0.0.2	5	5					
8	STP0080	ინფორმაციული ტექნოლოგიები 2	3	0.0.0.3	5		5				
9	STP0090	წარმოების ორგანიზაცია, მეწარმეობის საფუძვლები და პროექტის მართვა	3	2.1.0.0	5			5			
10	STP0100	ტექნიკური მექანიკა 1: თეორიული მექანიკა	3	2.1.0.0	5	5					
11	STP0110	ტექნიკური მექანიკა 2: მასალათაგამძლეობა	3	2.1.0.0	5		5				
12	STP0120	ტექნიკური მექანიკა 3: სითხეების მექანიკა	3	2.1.0.0	5		5				
13	STP0130	სიცოცხლის უსაფრთხოება საზღვაო ტრანსპორტზე	3	1.2.0.0	5				5		
14	STP0140	ტექნიკური ქიმია და ეკოლოგია	3	2.1.0.0	5		5				
15	STP0150	საწარმოო პრაქტიკა	18	0.18.0.0	30					30	

16	STP0160	ტრანსპორტირების საფუძვლები	3	2.10.0	5			5		
17	STP0170	ტვირთმცოდნეობა 1	3	2.10.0	5			5		
18	STP0180	ტვირთმცოდნეობა2	3	2.10.0	5				5	
19	STP0190	დატვირთვა-გადატვირთვის ტექნიკური საშუალებები	3	2.10.0	5				5	
20	STP0200	სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია 1	3	2.10.0	5			5		
21	STP0210	სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია 2	3	2.10.0	5			5		
22	STP0220	ეკონომიკა და მარკეტინგი	3	2.10.0	5			5		
23	STP0230	სატრანსპორტო გადაზიდვების ტექნოლოგია	3	2.10.0	5				5	
24	STP0240	სატრანსპორტო გადაზიდვების ეკონომიკა	3	2.0.1.0	5				5	
25	STP0250	საგარეო სავაჭრო ოპერაციები და მისი სატრანსპორტო უზრუნველ ¹ ოფა	3	2.0.1.0	5				5	
			3	სულ	150	30	30	30	30	30

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება:

სკ - საათი კვირაში

დ./პრ./ს/ლაბ.. - ლექცია/პრაქტიკული/სემინარი/ლაბორატორიული

7. სასწავლო კურსების მოკლე აღწერა

STP0010 მათემატიკა -1 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სიმრავლე, მისი ელემენტი. ფუნქციის ცნება. რთული ფუნქცია და მისი თვისებები. კომპლექსური რიცხვები. მოქმედებები კომპლექსურ რიცხვებზე, კომპლექსური რიცხვის მოდული და არგუმენტი, გეომეტრიული ინსტრუქცია. კომპლექსური რიცხვის ტრიგონომეტრიული ფორმა. მუავრის ფორმულა, n -ური ხარისხის ფესვი კომპლექსური რიცხვიდან. მიმდევრობის ზღვარი, ზოგიერთი თეორემა ზღვართა შესახებ. უსასრულოდ მცირე და უსასრულოდ დიდი მიმდევრობები. დამოკიდებულება მათ შორის. არითმეტიკული ოპერაციები კრებად მიმდევრობებზე. თეორემა მონოტონური მიმდევრობის კრებადობის შესახებ. ნეპერის რიცხვი. ფუნქციის ზღვრის ცნება, ფუნქციის ცალმხრივი ზღვრები, ფუნქციის ზღვარი, როდესაც $x \rightarrow \pm\infty$. ძირითადი თეორემები ზღვრებზე. უსასრულოდ მცირე და უსასრულოდ დიდი ფუნქციები, შესანიშნავი ზღვრები, ნეპერის რიცხვი ზოგად შემთხვევაში. უსასრულოდ მცირეთა შედარება, ეკვივალენტური უსასრულოდ მცირეები. მაღალი რიგის უსასრულოდ მცირეთა უკუგდების პრინციპი. ფუნქციის უწყვეტობა, უწყვეტ ფუნქციათა ძირითადი თვისებები. წარმოებულის ცნება. მისი გეომეტრიული და ეკონომიკური აზრი, გაწარმოების ძირითადი წესები. ფუნქციის დიფერენციალი და მისი გეომეტრიული შინაარსი. მაღალი რიგის წარმოებულები. ფუნქციის ლოკალური ექსტრემუმი, ექსტრემუმის აუცილებელი პირობა. ფუნქციის კრიტიკული წერტილები. როლის და ლაგრანჟის თეორემები, კოშის თეორემა, ლოპიტალის წესი. ტეილორის ფორმულა. ფუნქციის მონოტონურობის პირობები, ექსტრემუმის არსებობის საკმარისი პირობები. ფუნქციის ამოხსნეილობა-ჩახსნეილობისა და გადაღუნვის წერტილების არსებობის პირობები. ორი ცვლადის ფუნქციის კერძო წარმოებულები და სრული დიფერენციალი. ორი ცვლადის ფუნქციის ექსტრემუმის აუცილებელი და საკმარისი პირობები.

STP0020 მათემატიკა - 2 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფუნქციის პირველყოფილი და განუსაზღვრელი ინტეგრალი და მისი ძირითადი თვისებები. ძირითად ინტეგრალთა ცხრილი. ნაწილობითი ინტეგრებისა და ცვლადთა გარდაქმნის ფორმულები. განსაზღვრული ინტეგრალის ცნება და მისი ძირითადი თვისებები. ნაწილობითი ინტეგრებისა და ცვლადთა გარდაქმნის ფორმულები განსაზღვრული ინტეგრალისათვის. საშუალო მნიშვნელობის თეორემა. ინტეგრალი ცვლადი ზედა საზღვრით. ნიუტონ-ლაიბნიცის თეორემა. ინტეგრალის გამოყენება ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად. პირველი რიგის წრფივი დიფერენციალური განტოლება, მეორე რიგის მუდმივკოეფიციენტებიანი წრფივი ერთგვაროვანი დიფერენციალური განტოლება, პირველი და მეორე რიგის სხვაობიანი განტოლებები. ხდომილობათა სივრცე; ალბათობის აქსიომატური, კლასიკური და გეომეტრიული განმარტებები; ბერნულის სქემა; პუასონის ფორმულა; მუავრ-ლაპლასის მიახლოებითი ფორმულები; განაწილების ძირითადი სახეები; შემთხვევითი სიდიდეები და მათი რიცხვითი მახასიათებლები; მახასიათებელი ფუნქციები; ცენტრალური ზღვართი თეორემები; დიდ რიცხვთა კანონი; უცნობი პარამეტრების წერტილოვანი შეფასებების დადგენის მეთოდები; ნდობის ინტერვალების აგების მეთოდები; ემპირიული განაწილების ფუნქცია; წრფივი რეგრესიის კოეფიციენტების განსაზღვრა; დისპერსიული ანალიზის ელემენტები

კურსის შესწავლის წინაპირობა: კალკულუს-1

STP0030 ფიზიკა - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ საკვანძო საკითხებს: მექანიკა (კინემატიკა, დინამიკა), შენახვის კანონები, მექანიკური რხევები და ტალღები, მოლეკულური ფიზიკა, სტატისტიკა და თერმოდინამიკა, ელექტრობა (ელექტროსტატიკა, მუდმივი დენი), მაგნეტიზმი, ელექტრული რხევები, ელექტრომაგნიტური ტალღები, ოპტიკა (გეომეტრიული და ფიზიკური).

STP0040 უცხო ენა-1 (5 კრედიტი)

ენის ასპექტების წერის, კითხვის, მოსმენის, საუბრის სწავლება: წერაში სტუდენტი შეისწავლის წინადადების აგების ნორმებს; აზრის ორგანიზაციას; მთავარი, განმავითარებელი და შემაჯამებელი წინადადებების წერას; აზრის სახეობებს, საქმიანი ქაღალდების შედგენას. კითხვაში სტუდენტი დაეუფლება კითხვის სხვადასხვა მეთოდს კითხვის მიზნების შესაბამისად: დეტალური ინფორმაციის, ზოგადი ინფორმაციის, მთავარი ინფორმაციის (ტექსტის სწრაფი კითხვით) მიღებისათვის. მოსმენაში სტუდენტი განივითარებს მოსმენის საბაზო უნარ-ჩვევებს აუდიო-ვიდეო მასალის გამოყენებით. საუბარში სტუდენტი შეიძენს მარტივი დიალოგისა და მონოლოგის წარმართვის კომპეტენციას ისეთ თემებზე, როგორებიცაა იდენტობა, პროფესია, ოჯახი, მსოფლიო და თანამედროვე პრობლემები. ზემოთ ხსენებული უნარ-ჩვევების განვითარება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და საშუალებების სასწავლო პროცესში ჩართვას ეფუძნება, რომელთა ურთიერთქმედება სწავლების მაღალეფექტურობასა და ინტენსივობას უზრუნველყოფს.

STP0050 უცხო ენა-2 (5 კრედიტი)

კურსი ითვალისწინებს ენის ოთხივე ასპექტის უფრო მაღალ დონეზე დაუფლებას: წერაში სტუდენტი შეისწავლის ესეს წერის პრინციპებს, შესავალი, ძირითადი და დასკვნითი აზრის სახეობის სპეციფიკას, ესეს ტიპებს და საქმიანი მიმოწერის წარმოებას. კითხვაში სტუდენტი დაეუფლება მაღალი დონის ადაპტირებული და ორიგინალი ტექსტის კითხვის პრინციპებს. მოსმენაში სტუდენტი განივითარებს მშობლიურ ენაზე მოსაუბრის მეტყველების გაგების უნარ-ჩვევებს. საუბარში სტუდენტი შეიძენს დიალოგის და მონოლოგის წარმართვის კომპეტენციას ისეთ თემებზე, როგორებიცაა დანაშაული და სასჯელი, ეკონომიკა, მედიცინა, ეკოლოგიური პრობლემები, მსოფლიო უსაფრთხოება. ამავე დონეზე ხდება სპეციალური (დარგობრივი) ტერმინოლოგიის შესწავლა და დარგობრივი ტექსტების დამუშავება.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსის უცხო ენა-1 ათვისება.

STP0060 საინჟინრო გრაფიკა - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს : დაგეგმილების მეთოდები, წრფე. წრფის გეგმილები. ზოგადი და კერძო მდგომარეობის წრფეები. წრფეების ურთიერთდამოკიდებულება. ხილვადობის დადგენა. წრფის მონაკვეთის ნამდვილი სიდიდის პოვნა, წრფის და სიბრტყის პარალელობა. ორი მონაკვეთის ნამდვილი სიდიდეების პოვნა. ორი სიბრტყის პარალელობა. წრფის და სიბრტყის ურთიერთკვეთა. წრფის და სიბრტყის მართობულობა. ორი სიბრტყის მართობულობა. მანძილი წერტილიდან წრფემდე. ზედაპირები. ზედაპირის გეგმილი ორ და სამ გეგმილთ სიბრტყეზე. ბრუნვითი ცილინდრი, კონუსი, წახნაგოვანი პრიზმა, პირამიდა.

STP0070 ინფორმაციული ტექნოლოგიები 1(5კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:

კომპიუტერების არქიტექტურა და ძირითადი კომპონენტები. დედაპლატის, პროცესორის, ვინჩესტერის, ოპერატიული მეხსიერების და სხვა მოწყობილობების მახასიათებლები. პერიფერიული მოწყობილობები. კომპიუტერული ქსელი, ოპერაციული სისტემის ცნება. ეფექტური მუშაობა Windows-ში. მუშაობის სეანსის დაწყება და დამთავრება. Windows-ის სამუშაო მაგიდა. Start -ის მენიუს განხილვა, ამოცანათა პანელის გამოყენება. სწრაფგმშვები პიკტოგრამების შექმნა. ფაილებთან და საქაღალდეებთან მუშაობა, კომპიუტერის უსაფრთხოების უზრუნველყოფა: ანტივირუსული პროგრამები, მომხმარებლის სააღრიცხვო ბარათების შექმნა, მათთან მუშაობა. მომხმარებლებს შორის სწრაფი გადასვლები. პაროლის დაყენება, Word-ის ამუშავება და სეანსის დასრულება. შაბლონების მიმოხილვა. ინსტრუმენტების პანელი. მენიუ (აწყობა, ახლის შექმნა). გვერდების პარამეტრების დაყენება, დოკუმენტის შექმნის ძირითადი საშუალებები და დოკუმენტის მამუშაობა. ტექსტის და აბზაცის ფორმატირება, ცხრილების შექმნა და გაფორმება, Excel-ის დოკუმენტების სტრუქტურა: წიგნი, გვერდი, სვეტები, სტრიქონები, უჯრედები, მათი ფორმატირება. უჯრედების ადრესაცია. მონაცემების შეყვანა, კოპირება, სპეციალური ჩასმა, ტექსტის ფორმატირება, მარტივი და რთული ფორმულები. ხშირად გამოყენებადი ფორმულები, ინტერნეტის ქსელის მოხაიკა, ინფორმაციის მოძიება ინტერნეტში, საძიებო სისტემები

STP0080 ინფორმაციული ტექნოლოგიები 2(5კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:

MS Excel პროგრამასთან მუშაობის დაწყება, უჯრედში ფორმულების ჩაწერა, ფარდობითი და აბსოლუტური ადრესაცია, პირობითი გადასვლის ოპერატორი, წრფივ განტოლებათა სისტემის ამოხსნა, მონაცემთა ბაზები, ჩანაწერების ფილტრაცია, ფილტრები, სორტირება, წრფივი პროგრამირების ამოცანა და საფინანსო-ეკონომიური ფუნქციები
კურსის შესწავლის წინაპირობა: ინფორმაციული ტექნოლოგიები 1

STP0090 წარმოების ორგანიზაცია, მეწარმეობის საფუძვლები და პროექტის მართვა

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მეწარმეობის აღმოცენება საქართველოში და მისი განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა; მეწარმეობრივი საქმიანობის სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმები და სახელმწიფო რეგულირება; მეწარმეობის სახეები; მცირე ბიზნესი სამეწარმეო საქმიანობაში; მეწარმეობრივი საქმიანობა და ეკონომიკური რისკები; მეწარმეობის კულტურა; ფირმის საბრუნავი კაპიტალი და საბრუნავი საშუალებები; წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა; წარმოების დანახარჯები, მოგება და რენტაბელობა; ფირმის საწარმოო სტრუქტურა; პროექტის არის და უნიკალობა; პროექტის მართვის პროცესი; პროექტის საწყისი წინასაინვესტიციო ფაზა და სხვ.

STP0100 ტექნიკური მექანიკა 1: თეორიული მექანიკა - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მყარი სხეულის სტატიკა. ძალთა სხვადასხვა სისტემების დაყვანა უმარტივეს სახეზე და წონასწორობის პირობები. მყარი სხეულის სიმძიმის ცენტრი. წერტილის მოძრაობის მოცემის ხერხები. სხეულის გადატანითი მოძრაობა. მყარი სხეულის ბრუნვა უძრავი ღერძის გარშემო. მყარი სხეულის ბრტყელი მოძრაობა. წერტილის რთული

მოდრაობა. დინამიკის ამოცანები. წერტილის მოძრაობის დიფერენციალები. წერტილის ფარდობითი მოძრაობა და ინერციის ძალა. თეორემა წერტილთა სისტემის მოძრაობის რაოდენობის ცვლილების შესახებ. თეორემა მასათა ცენტრის მოძრაობის შესახებ. თეორემა სისტემის კინეტიკური მომენტის ცვლილების შესახებ. ძალის მუშაობა. თეორემა კინეტიკური ენერჯის ცვლილების შესახებ. გიროსკოპის თეორია. მანქანების, კონსტრუქციების და მათი შემადგენელი ელემენტების გაანგარიშება სიმტკიცეზე, სიხისტეზე და მდგრადობაზე. მექანიზმებისა და მანქანების ნაწილების გაანგარიშების საფუძვლები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მათემატიკა 1, მათემატიკა 2

STP0110 ტექნიკური მექანიკა 2: მასალათაგამძლეობა - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მასალათაგამძლეობის საგანი; ძირითადი ცნებები და დაშვებები; ჰუკის კანონი; სწორი ძელის გაჭიმვა-კუმშვა; გაჭიმვა-კუმშვის დიაგრამა; სიმტკიცეზე და სიხისტეზე ანგარიში გაჭიმვა-კუმშვის დროს; გრეხა; ბრტყელი ფიგურების გეომეტრიული მახასიათებლები; ძელების ღუნვა; სუფთა ღუნვა; ძელების სიმტკიცეზე ანგარიში ღუნვის დროს; ძელების განივი ღუნვა; ირიბი ღუნვა; არაცენტრალური გაჭიმვა-კუმშვა; დეფორმაციის პოტენციალური ენერჯია ზოგადი დატვირთვისას; მუშაობისა და გადაადგილებების ურთიერთმიმართების პრინციპი; მორის ინტეგრალი; ვერეშჩაგინის ხერხი და სხვ.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მათემატიკა 1, მათემატიკა 2 , ტექნიკური მექანიკა 1: თეორიული მექანიკა.

STP0120 ტექნიკური მექანიკა 3: სითხეების მექანიკა - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სითხეების თვისებები და მისი მოძრაობის განტოლებები, ჰიდროსტატიკა; ჰიდროსტატიკის განტოლებები და მათი ინტეგრირება; სითხის კინემატიკა; არაბლანტი სითხის დინამიკა; სითხის დინება; ბლანტი სითხის დინამიკა; სითხის ტურბოლენტური დინება; ბლანტი სითხის ჰიდრომექანიკის შიგა ამოცანა, სითხის დინება მილსადენებში და წნევის დანაკარგები; სასაზღვრო ფენის თეორია.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: მათემატიკა 1, მათემატიკა 2 , ტექნიკური მექანიკა 1: თეორიული მექანიკა, ტექნიკური მექანიკა 2: მასალათაგამძლეობა.

STP0130 სიცოცხლის უსაფრთხოება საზღვაო ტრანსპორტზე - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გემის სახანძრო უსაფრთხოება, დაზარალებულთა გადარჩენისა და ევაკუაციის ტაქტიკა, სახიფათო ტვირთების გადაზიდვისას სახანძრო უსაფრთხოების დაცვა, კორპუსის დაზიანება, კორპუსში წყლის შეღწევის შეჩერება, ზღვაში სიცოცხლის შენარჩუნება და გადარჩენა, სამაშველო სამსახურის ორგანიზაცია, ინდივიდუალური მაშველი მოწყობილობები, კოლექტიური მაშველი მოწყობილობები, საფრთხის სიგნალები ზღვაში, სიცოცხლის ორგანიზაცია მაშველ მოწყობილობაზე, სიცოცხლის უნარიანობის შენარჩუნება გემზე, ექიმამდე სამედიცინო დახმარება.

STP0140 ტექნიკური ქიმია და ეკოლოგია - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: წყლის სტრუქტურა და ფიზიკო-ქიმიური თვისებები, ბუნებრივი წყლების კლასიფიკაცია; წყლის ხარისხის მაჩვენებლები; ექსპლუატაციის პირობებში წყლის დაბინძურების წყაროები; დანადგარების კოროზია, კოროზიული ნგრევის მაჩვენებლები და კოროზიისაგან დაცვის მეთოდები; ქვაბებში დანალექების წარმოქმნის მიზეზები, წყლის მარილისაგან გაწმენდა; წყლის კოროზიული აქტივობის შემცირების მეთოდები; დანადგარების გაწმენდის ქიმიური კონტროლი; აკუმულატორების მოწყობილობა და მისი მომზადება ექსპლუატაციისათვის, აკუმულატორების ტესტირება. სამრეწველო სატრანსპორტო ეკოლოგია. ბუნებრივი გარემოს შემადგენლობა, ატმოსფერული ჰაერის დამბინძურებლები დამათი დახასიათება. საზღვაო ტრანსპორტი და გარემო. გარემოზე თბური მანქანების ზემოქმედების თერმოდინამიკური საფუძვლები, როგორც გარემოს დამბინძურებელი ძირითადი ენერგეტიკული დანადგარი; ტოქსიკური ნაერთების დახასიათება. ტოქსიკურობის შემცირების ძირითადი მეთოდები. შრომის ჰიგიენა და საწარმოო სანიტარული მოთხოვნები სანიტარულ-ჰიგიენური და ეკოლოგიური ნორმატივები.

STP0150 საწარმოო პრაქტიკა - (30 კრედიტი)

კურსის მიზანი: მოცემული კურსის შესწავლისას სტუდენტი უნდა დაეუფლოს საზღვაო ტრანსპორტის სერვისისა და მართვის სისტემას; მან უნდა შეისწავლოს დარგის სტრუქტურა, მდგომარეობა და განვითარების ტენდენცია. აღნიშნული კურსი გულისხმობს ისეთი საკითხების შესწავლას, როგორცაა: სატრანსპორტო პროცესის დაგეგმვა; საზღვაო-სატრანსპორტო საწარმოს მართვის ზოგადი პრინციპები; საზღვაო გადაზიდვების ტვირთბრუნვის მახასიათებლები; ნავსადგურების ექსპლუატაციური მახასიათებლები და ტექნოლოგიური პროცესი; გადატვირთვის სამუშაოების ორგანიზაცია და ტექნოლოგია; ძირითადი ტვირთების გადატვირთვის მეთოდები; სატრანსპორტო მომსახურების თვითღირებულებისა და დანახარჯების გაანგარიშების მეთოდებს, სამეურნეო პოლიტიკის პრაქტიკულ გამოყენებას, სატრანსპორტო მომსახურების განვითარების პერსპექტივებს, სატრანსპორტო მომსახურების რენტაბელური გამძლეობის საკითხებს, სატრანსპორტო ფირმის ეკონომიკას, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს; სხვადასხვა სახის ტვირთების გადაზიდვის კომერციული პირობები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ტრანსპორტირების საფუძვლები, სატრანსპორტო გადაზიდვების ტექნოლოგია, სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია 1, სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია 2.

STP0160 ტრანსპორტირების საფუძვლები - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საზღვაო ნავსადგურები, მისასვლელი გზები და აკვატორია, ნავმისადგომების ძირითადი ელემენტების ტექნოლოგიური მოთხოვნები, ჰიდროტექნიკური დანადგარების კონსტრუქციები, სატრანსპორტო გადაზიდვები: ტვირთების სატრანსპორტო მახასიათებლები, კონტეინერები, ნახევარმისაბმელები, მისაბმელები , საზღვაო ტრანსპორტი, გემების კლასიფიკაცია.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: კალკულუსი 1, კალკულუსი 2, ფიზიკა და მექანიკის საფუძვლები.

STP0170 ტვირთმცოდნეობა 1 - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ტვირთების სატრანსპორტო მახასიათებლები; სხვადასხვა სახის ტვირთების თავისებურებები; ტვირთებზე მოქმედი ფაქტორები; გემის სატვირთო სათავსოს მიკროკლიმატის რეგულირება; ტვირთების შენახვადობა; ტვირთებზე მოქმედი ძალები; მათი განლაგება და დამაგრება მოძრავ შემადგენლობაზე; ტარა და შეფუთვა; ტვირთის ხარისხის განსაზღვრის მეთოდები; ტვირთების დაცვის უზრუნველყოფა ტრანსპორტირებისას; სხვადასხვა ჯგუფის ტვირთების გადაზიდვის თავისებურებანი;

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ტექნიკური ქიმია და ეკოლოგია, ფიზიკა, ტრანსპორტირების საფუძვლები.

STP0180 ტვირთმცოდნეობა 2 - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ტვირთების სატრანსპორტო მახასიათებლები; სხვადასხვა სახის ტვირთების თავისებურებები; ტვირთებზე მოქმედი ფაქტორები; გემის სატვირთო სათავსოს მიკროკლიმატის რეგულირება; ტვირთების შენახვადობა; ტვირთებზე მოქმედი ძალები; მათი განლაგება და დამაგრება მოძრავ შემადგენლობაზე; ტარა და შეფუთვა; ტვირთის ხარისხის განსაზღვრის მეთოდები; ტვირთების დაცვის უზრუნველყოფა ტრანსპორტირებისას; სხვადასხვა ჯგუფის ტვირთების გადაზიდვის თავისებურებანი;

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ტვირთმცოდნეობა 1

STP0190 დატვირთვა-გადმოტვირთვის ტექნიკური საშუალებები - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ნავსადგურების ექსპლუატაციური მახასიათებლები და ტექნოლოგიური პროცესი; გადატვირთვის სამუშაოების ორგანიზაცია და ტექნოლოგია; ძირითადი ტვირთების გადატვირთვის მეთოდები: გემების, სარკინიგზო ვაგონების და ავტოტრანსპორტის დამუშავება; ტვირთების გადატვირთვის ტექნოლოგიური პროცესის ეფექტიანობის მაჩვენებლები; ნავსადგურების ტვირთბრუნვა; ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება და გადატვირთვის სამუშაოების მექანიზაციის სქემის ტექნოლოგიური პროექტირება; ხელმძღვანელობის დისპეჩერული სისტემა და გადატვირთვის სამუშაოების ოპერატიული დაგეგმარება; გადატვირთვის რეჟიმები, სატრანსპორტო საშუალებათა გამტარუნარიანობა და მათი დატვირთვა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ტრანსპორტირების საფუძვლები და ტვირთმცოდნეობა.

STP0200 სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია 1 - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ტვირთების ნომენკლატურა, კლასიფიკაცია და სახეები; ტვირთის სატრანსპორტო მახასიათებლები; ტვირთის გარდაქმნა გადაზიდვისას; სატრანსპორტო თვისებების ცვლილება; ტვირთნაკადები; ტვირთების გადაზიდვის სქემები; სატრანსპორტო საშუალებების სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მახასიათებლები; გენერალური ტვირტების ნომენკლატურა, კლასიფიკაცია და სატრანსპორტო თვისებები; გენერალური ტვირთების გადასაზიდად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები და სხვ.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ტრანსპორტირების საფუძვლები.

STP0210 სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია 2 - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საშიში ტვირთების გადაზიდვის ტექნოლოგია და ორგანიზაცია; ნაყარი ტვირთების გადაზიდვის ტექნოლოგია და ორგანიზაცია; ხე-ტყის

ტვირთების გადაზიდვის ტექნოლოგია და ორგანიზაცია; თხევადი ტვირთების გადაზიდვის ტექნოლოგია და ორგანიზაცია; სპეციალური ტვირთების გადაზიდვის ტექნოლოგია და ორგანიზაცია; კრიტერიუმები, ნორმატივები და მაჩვენებლები; საწარმოო პროცესის დაგეგმვისა და კონტროლის სისტემა სატრანსპორტო საწარმოში და სხვ.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია 1

STP0220 ეკონომიკა და მარკეტინგი - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ეკონომიკური თეორია როგორც მეცნიერება; ეკონომიკის პრინციპები; წარმოება და ეკონომიკური ზრდა; ეკონომიკური რესურსები და წარმოების ფაქტორები; საკუთრება და მისი ეკონომიკური ასპექტები; წარმოების დანახარჯები და მოგება; თანამედროვე საკუთრებითი ურთიერთობანი და სამეწარმეო საქმიანობა; საქონელწარმოება და მისი როლი საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაში, ფული და მისი ფუნქციები; ფაქტორული შემოსავლები და მათი ფუნქციონალური განაწილება; მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და უმუშევრობა; ბაზარი და მისი წარმოშობა-განვითარების კანონზომიერებანი; ფასი და ფასწარმოქმნის მექანიზმი; საბაზრო ეკონომიკა; ფინანსური სისტემა; ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების კონცეფცია და სხვ. მარკეტინგის საგანი და თანამედრივე კონცეფციები; სტრატეგიული მარკეტინგი; მარკეტინგული გარემო; მარკეტინგული კვლევები; მყიდველთა ქცევა სამომხმარებლო ბაზარზე; მომხმარებელთა ქცევა საწარმოთა ბაზარზე; ბაზრის სეგმენტაცია, მიზნობრივი ბაზრის შერჩევა და საქონლის პოზიციონირება; კონკურენციის მარკეტინგული სტრატეგიები; საქონელი და სასაქონლო პოლიტიკა მარკეტინგში; ახალი საქონელი მარკეტინგში; ფასები და ფასწარმოქმნის სტრატეგია მარკეტინგში; ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები; რეკლამა, გასაღების სტიმულირება, სპონსორობა და საზოგადოებასთან ურთიერთობები; მარკეტინგული არხები და ლოგისტიკა; მარკეტინგი სატრანსპორტო ფორმებში; ნავსადგურის მარკეტინგი და სხვ.

STP0230 საზღვაო სატრანსპორტო გადაზიდვების ტექნოლოგია - (5კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საერთო წესები ტვირთების მიღებისა და ჩაბარებისას საზღვაო გადაზიდვების ხელშეკრულების შესაბამისად, ტვირთების მიღებისა და ჩაბარება საზღვარგარეთ ცურვისას და მათი დოკუმენტალური გაფორმება, საბაჟო და სასაზღვრო რეჟიმები, სხვადასხვა ნორმატიული აქტები ტვირთის დოკუმენტალური გაფორმებისას, ტვირთის სატრანსპორტო მახასიათებლები, ტვირთის წრფივი და მოცულობითი მახასიათებლები. გაზომვის ერთეულები, ტვირთების სტანდარტიზაცია, ტარა და შეფუთვა. ტვირთების ხარისხის განსაზღვრა, არამარცვლელი ნაყარი ტვირთების რეგლამენტირებული გადაზიდვის ნორმატიული დოკუმენტები, გემის ტიპები ნაყარი ტვირთების გადაზიდვისას და მათი ჩატვირთვის წესები, მარცვლელი ტვირთების თვისებები, მარცვლელი ტვირთების რეგლამენტირებული გადაზიდვების დოკუმენტები, გემის მდგრადობა მარცვლელი ნაყარი ტვირთების გადაზიდვისას. გემის სატვირთო ტრიუმებში ჩატვირთვა და მარცვლელის დამაგრების სატვირთო გემების ზოგადი მოთხოვნები, გემის ტვირთამწეობის გამოთვლა, გემის ტვირთტევადობის გამოთვლა, გემის მდგრადობის გამოთვლა, როლკერისათვის სატვირთო გემის გამოთვლა და სხვ.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ტვირთმცოდნეობა 1, ტვირთმცოდნეობა 2.

STP0240 სატრანსპორტო გადაზიდვების ეკონომიკა - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საზღვაო ნაოსნობის განვითარების ტენდენციები; საზღვაო ნაოსნობის დარგის ლიბერალიზაცია და გლობალიზაცია; შრომითი რესურსების მართვა საზრვაო-ნაოსნობაში; საზღვაო-სანაოსნო გადაზიდვები და ფასწარმოქმნის სისტემა; საფრახტო ბაზარი; საფრახტო განაკვეთებზე მოქმედი ფაქტორები; ოფშორული სანაოსნო კომპანიების ფუნქციონირების პრინციპები; გემების რეგისტრის სახეები; ნავსადგურები და სანავსადგურო ტერმინალები; სანავსადგურო ტერმინალების ზომის ოპტიმიზაცია და დივერსიფიკაცია; ფასწარმოქმნის მექანიზმი სანავსადგურო მომსახურებაში და სხვ.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ეკონომიკა და მარკეტინგი.

STP0250 საგარეო სავაჭრო ოპერაციების სატრანსპორტო უზრუნველყოფა - (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ტრანსპორტი და საერთაშორისო სატრანსპორტო ორგანიზაციები; საგარეო-სავაჭრო სატრანსპორტო ოპერაციები; სატრანსპორტო უზრუნველყოფა; ტრანსპორტის კლასიფიკაცია; საერთაშორისო გადაზიდვების შეთანხმება, მისი შემადგენლობა და თავისებურებები; გადასახადების განსაზღვრის პრინციპები ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვებისას; სატრანსპორტო-ექსპედიტორული სერვისის ორგანიზაციის საფუძვლები; დაზღვევა საერთაშორისო გადაზიდვების დროს; საგარეო-სავაჭრო გადაზიდვების საბაჟო მომსახურება; საგარეო ეკონომიკური კავშირების სახელმწიფო რეგულირების სისტემის სტრუქტურა და არსი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: ტრანსპორტირების საფუძვლები, ეკონომიკა და მარკეტინგი.